ინტერპრესნიუსი

3.08.2020

წინანდალში, ალაზანი-იორის მდინარის აუზის მართვის გეგმის საჯარო განხილვა გაიმართა

კახეთის მხარეში, სოფელ წინანდალში, პროგრამის „ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის" (EUWI+ 4 EaP) ფარგლებში ალაზანი-იორის მდინარეთა აუზის მართვის გეგმის საჯარო განხილვა გაიმართა, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ნინო თანდილაშვილი დაესწრო. ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს. „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ქვეყანაში წყლის რესურსების რეფორმის განხორციელების მიმართულებით. ევროკავშირის მხარდაჭერით, ვმუშაობთ სააუზო მართვის პრინციპების დამკვიდრებასა და სააუზო მართვის გეგმის შემუშავებაზე. ინფორმაციით, ევროკავშირის პროექტის განმახორციელებელმა საქართველოში, ზურაბ ჯინჭარაძემ, დაინტერესებულ მხარეებს ალაზანი-იორის მდინარის აუზის მართვის გეგმის შუალედური შედეგები წარუდგინა.

წყარო:

https://www.interpressnews.ge/ka/article/612098-cinandalshi-alazani-ioris-mdinaris-auzis-martvis-gegmis-sajaro-ganxilva-gaimarta

iPn პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი სამხე

წინანდალში, ალაზანი-იორის მდინარის აუზის მართვის გეგმის საჯარო განხილვა გაიმართა

კახეთის მხარეში, სოფელ წინანდალში, პროგრამის „ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის" (EUWI+ 4 EaP) ფარგლებში ალაზანი-იორის მდინარეთა აუზის მართვის გეგმის საჯარო განხილვა გაიმართა, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ნინო თანდილაშვილი დაესწრო. ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ქვეყანაში წყლის რესურსების რეფორმის განხორციელების მიმართულებით. ევროკავშირის მხარდაჭერით, ვმუშაობთ სააუზო მართვის პრინციპების დამკვიდრებასა და სააუზო მართვის გეგმის შემუშავებაზე. ალაზანი-იორის მდინარის სააუზო მართვის გეგმის განხილვაში, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, რათა მოხდეს წყალსარგებლობის კუთხით არსებული

ინტერპრესნიუსი

4.08.2020

ტინისხიდში სასმელი წყლის სისტემის მოეწყობა მიმდინარეობს

ტინისხიდში სასმელი წყლის სისტემის მოეწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან აცნობეს, პროექტის ღირებულება 739 589 ლარია. მათი ინფორმაციით, ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები ოქტომბერში უნდა დასრულდეს.

„პროექტის მიხედვით, მოეწყობა წყალსადენის ახალი სისტემა და თითოეულ ოჯახს დაუმონტაჟდება ინდივიდუალური მრიცხველი. სამუშაოების დასრულების შემდეგ ტინისხიდელებს სასმელი წყლის პრობლემა აღარ შეაწუხებთ. სოფელში მცხოვრებ 600 - მდე ოჯახს ინდივიდუალური ონკანი 40 წელზე მეტია არ ქონია. მათ შორის 170 - მდე ოჯახი 10 წელია საუბნო ონკანებით სარგებლობს, რომლების საშუალებითაც წყალს დღეგამოშვებით, მხოლოდ ერთი საათით იღებენ. გარდა ამისა, დღემდე ადგილობრივების ერთი ნაწილი ჭებით სარგებლობს, მეორე ნაწილი კი სასმელ წყალს მეზობელი სოფლებიდან და გორიდან ეზიდება“,- აღნიშნულია ინფორმაციაში.

წყარო:

https://www.interpressnews.ge/ka/article/612292-tinisxidshi-sasmeli-cqlis-sistemis-moecqoba-mimdinareobs

ინტერპრესნიუსი

6.08.2020

გუდაურში სასმელი წყლის დებიტის გაზრდის მიზნით ახალი ჭაბურღილების მოწყობა მიმდინარეობს

წყალმომარაგების კომპანია დაბა გუდაურში წყლის ჭაბურღილების მოწყობას მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს დაასრულებს. სამუშაოებს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით 1 600 000 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს, პროექტი ითვალისწინებს ახალი ჭაბურღილების მშენებლობას, რომლის მეშვეობითაც სათავე ნაგებობაზე გაიზრდება სასმელი წყლის დებიტი. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კონტრაქტორი კომპანია „იმედი XXI" ასრულებს.

წყალმომარაგების კომპანიის ინფორმაციით, გუდაურს, მზარდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, არსებული სათავე ნაგებობების წარმადობა კი ვერ აკმაყოფილებს წყალმომარაგების მოთხოვნას სეზონის პიკურ პერიოდში. პროექტის განხორციელების შედეგად, გუდაურის მოსახლეობასა და იქ ჩასულ დამსვენებლებს წყალმომარაგების კუთხით არსებული პრობლემები აღარ შეექმნებათ. გარდა ამისა, კომპანია გუდაურში წყლისა და წყალარინების სისტემების მშენებლობასა და ხელოვნური გათოვლიანებისთვის რეზერუარის წყლით შევსების სამუშაოებს ახორციელებს. აღნიშნული პროექტების ჯამური ღირებულება 65 მილიონ ლარზე მეტია.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/612650-gudaurshi-sasmeli-cqlis-debitis-gazrdis-miznit-axali-chaburgilebis-mocqoba-mimdinareobs

ინტერპრესნიუსი

6.08.2020

„ბათუმის წყალი“ - სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ნაწლავური ჩხირი Escherichia coli ბათუმში სასმელი წყლისგან გავრცელდა, არ შეესაბამება სიმართლეს

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ნაწლავური ჩხირი Escherichia coli ბათუმში სასმელი წყლისგან გავრცელდა, არ შეესაბამება სიმართლეს, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ბათუმის წყალიდან“ აცნობეს. მათივე ინფორმაციით,,,ბათუმის წყლის“ მიერ მოსახლეობისთვის მიწოდებული სასმელი წყლის თვისებები სრულად შეესაბამება სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმატივებს. „ბათუმის წყალს“ აქვს ულტრათანამედროვე ლაბორატორია, რომლის მეშვეობით მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს წყლის ხარისხის კონტროლი და მონიტორინგი. წყლის ხარისხის უწყვეტ რეჟიმში მონიტორინგს ლაბორატორია სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესაბამისად ახორციელებს. ხარისხის კონტროლი სათაო ნაგებობებზე, რეზერვუარებში და ქალაქის წყალსადენის ქსელში ყოველდღიურად ხორციელდება. ონკანებთან მისვლამდე სასმელი წყალი დამუშავების რამდენიმე ეტაპს გადის. წყალმიმღებიდან აღებული წყალი გადის ორჯერად ქლორირებას, იფილტრება და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის წყალგაყვანილობის სისტემაში.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/612641-batumis-cqali-socialur-kselshi-gavrcelebuli-inpormacia-rom-shesazloa-naclavuri-chxiri-escherichia-coli-batumshi-sasmeli-cqlisgan-gavrcelda-ar-sheesabameba-simartles